# ანქიმეტამორფიზმი: სად გადის საზღვარი დიაგენეზსა და მეტამორფიზმს შორის

**ანნა კიკვაძე**
anna.kikvadze097@ens.tsu.edu.ge

გეოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტ დასაბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
უნივერსიტეტის ქ.13, თბილისი, საქართველო, 0186

განხილულია პეტროლოგიის ერთ-ერთი პრობლემა, რომელიც ეხება დიაგენეზის გამიჯვნას ,,ჭეშმარიტი" მეტამორფიზმისგან. გაანალიზებული და განზოგადებულია ამ მეტად რთული საკითხის ირგვლივ არსებული სამეცნიერო ინფორმაცია, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა მეცნიერის მიერ, სხვადასხვა დროს არის გამოქვეყნებული. მოტანილია სტადიაზე – „ანქიმეტამორფიზმი - მეტამორფიზმი" დადგენილი მინერალური ინდიკატორები, მათ შორის, მეტამორფიზმის დასაწყისის აღმნიშვნელი ახალი დიაგნოსტიკური კრიტერიუმები, რომლებიც უფრო ზუსტად განსაზღვრავს ქანების ტრანსფორმაციის ხარისხს დიაგენეზისა და მეტამორფიზმის მიჯნაზე. გაანალიზებულია მინერალური ინდიკატორების კვლევის შედეგები: ცალკეული მინერალების გაჩენა და გარდაქმნა, ანქიმეტამორფულ სტადიაზე არასტაბილური მინერალური პარაგენეზისების არსებობა და მეტამორფული სტადიის დასაწყისისთვის, ყველა ფაზას შორის სრულად წონასწორული მდგომარეობის დადგომა. აღნიშნული მიმართულებით კვლევების სწრაფმა პროგრესმა ბოლო სამი ათეული წლის განმავლობაში, შეცვალა ადრე არსებული შეხედულებები დიაგენეზსა და მეტამორფიზმს შორის საზღვრის დადგენის შესახებ, რამაც გამოიწვია მთელი რიგი წარმონაქმნების მეტამორფიზმის დონის გადამოწმების აუცილებლობა. ნაშრომში წარმოდგენილია ერთ-ერთი ასეთი „გადაფასების" განხილვა ხრამის კრისტალური მასივის სუსტადმეტამორფული მეტაქვიშაქვების მაგალითზე.